



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



N 78
11/12/2017

78-04-4-201712111600



ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლების საფუძველზე და მუდმივ საცხოვრებლად რეგისტრირებული მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს:

ა) „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N1-სა.

ბ) „ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N2-სა.

გ) „ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N3-სა.

დ) „გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N4-სა.

ე) „ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N5-სა.

ვ) „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N6-სა.

ზ) „საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N7-სა.

თ) „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N8-სა.

ი) „ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N9-სა.

კ) „ამბულატორიული მომსახურების მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი N10-სა.

ლ) „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის“ თანახმად დანართი N11-სა.

2. განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10 და N11 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის N87 განკარგულება.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს.

5. ამ განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

დანართი N1

„სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური
ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

2 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

16 800 (თექვსმეტათასრვაასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 16,800 ლარი

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხის მგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში უმწეოთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედაში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 26 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. აღნიშნულ პროგრამაში ჩართვაზე უპირატესობა მიენიჭოთ მარტოხელებს, მრავალშვილიან ოჯახებს, შშმ პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიწადში 364 დღის) განმავლობაში მენიუს შესაბამისად.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2		მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2016 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	უფასო კვება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. შერჩევა მოხდება 0-დან 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს შორის, უპირატესობა მიენიჭება დაბალი ქულის მქონე მართლმადიდებელი და ინვალიდ ბენეფიციარებს.
2. 2016 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	პირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	16800			16800
	დამატებითი					
	სულ		16800	0	0	16800

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დღეითა რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	უმწეოთა ყოველდღიური ერთჯერადი კვება	ბენეფიციარი	26	365	1.7703	16800
36						16800

გ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში გასაწევი ხარჯები წლის განმავლობაში

დასახელება	კვება	სხვა ხარჯი	სულ
წლიური მომსახურება	14018	2689.02	16707
ნაშთი			93

დასახელება	კვება	სხვა ხარჯი	სულ
ერთი ბენეფიციარის დღიური მომსახურება	1.5	0.3	1.77

11. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ერთჯერადი ყოველდღიური უფასო კვება	I კვარტალი 2017 წელი	ტენდერი	16800	

დამატებითი ინფორმაცია

ა) ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული „მომსახურეობის შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის" შესაბამისად.

ბ) მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

დანართი N2

**„ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების
ორგანიზებისა და დახმარების“ მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

500 (ხუთასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 500 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს, კერძოდ ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ქედის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას და გარკვეულ ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის ა და ბ პუნქტები, მე-21 მუხლის 1, 2, 3 პუნქტების და 2000 წლის საქრტველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ონში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების უკვდავყოფისა და სადრესასწაულო დღეების ორგანიზება.	პროგრამით განსაზღვრულ ბენეფიციართა მატერიალური დახმარებით მოცვა.
1	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	უკვდავყოფისა და სადრესასწაულო დღეების ორგანიზება, ერთჯერადი დახმარების გაწევა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე.					X			X				
2	ომის მონაწილე ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 250 ლარით.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. 2016 წლის განმავლობაში გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებიდან შემოსული განცხადებები.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	500			500
	დამატებითი					
	სულ		500			500

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	ღონისძიებების ხელფასი	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარება		1	500	500
ჯამი					500

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამა შედგენილია 2016 წლის მონაცემებზე დაყრდნობით.

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ომის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაცემად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ოჯახის უფლებამოსილის წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ოჯახის უფლებამოსილის წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ვეტერანის მოწმობა;
5. საბანკო რეკვიზიტები;

გამონაკლის შემთხვევაში პროგრამით იანვრის თვეში ისარგებლებს ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრი გარდაეცვალა 2016 წლის დეკემბრის თვეში და პროგრამით არ უსარგებლია

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

დანართი N3

**„ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები)
ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

13 000 (ცამმეთათასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 13 000 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. დემოგრაფიული პრობლემების ფონზე შეიმჩნევა, რომ აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი, სიდარბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებია. აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხუთი და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2	სოციალური პირობების გაუმჯობესება	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა	X	X	X	X	X	X	X					
2	ერთჯერადი დახმარების გაწევა								X	X	X	X	X

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს 18 წლამდე ასაკის ხუთი და მეტ შვილიანი ოჯახები, რომელთა შერჩევა მოხდება შემდეგი მონაცემებით:

- 1. 2017 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები;
- 2. წლის განმავლობაში სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მეშვეობით დაზუსტებული მონაცემები;

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	13000			13000
	დამატებითი					
	სულ		13000			13000

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	ხუთი და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.	ოჯახი	13	1000	13000
სულ ჯამი					13000

11. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ხუთი და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.	III-IV კვარტალი		13	

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამა შედგენილია 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე;

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა ოჯახზე, რომლის მეხუთე შვილს 18 წელი უსრულდება 2017 წლის განმავლობაში;

ბ) მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განხცადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლების პირადობის მოწმობების ასლები დედანთან ერთად;
3. შვილების დაბადების მოწმობების ასლები დედანთან ერთად;
4. საბანკო რეკვიზიტები;

გამონაკლის შემთხვევაში პროგრამით ისარგებლებს ოჯახი, რომელსაც მეხუთე შვილი შეეძინა 2016 წლის დეკემბრის თვეში და არ უსარგებლია აღნიშნული პროგრამით;

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

დანართი N4

**„გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის
ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**2 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

8 500 (რვაათასხუთასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 8 500 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხის მგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამი მიზნით ქვეყანაში შემუშავდა პროგრამა, რომელიც იტვალისწინებს პროგრამაში მონაწილე თითოეული პირისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას და უფასო სამედიცინო მომსახურეობის დახმარების პაკეტს. 0-დან 70000 ქულის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით შეიმუშავა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 70000 ქულის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2		მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ერთჯერადი დახმარების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს ოჯახი (0-დან 70000-ის ჩათვლით) სარეიტინგო ქულით 2017 წლის განმავლობაში ოჯახის წევრის გარდაცვალები შემთხვევაში

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	8500			8500
	დამატებითი					
	სულ		8500			8500

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეული დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	0-დან 70000 ლარის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	ოჯახი	34	250	8500
სულ ჯამი					8500

11. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	გარდაცვლილის ოჯახზე ერთჯერადი დახმარება	წლის განმავლობაში		8500	

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამა შედგენილია გარდაცვალების 2016 წლის სტატისტიკის საფუძველზე.

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

გამონაკლის შემთხვევაში დაფინანსებით ისარგებლებს ოჯახი წევრის 2016 წლის დეკემბრის თვეში გარდაცვალების შემთხვევაში და დაფინანსდეს 2016 წლის პროგრამით გათვალისწინებული ოდენობით.

მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი მოწმობა გაცემული სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ქედის განყოფილების მიერ;
5. საბანკო რეკვიზიტები;

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

დანართი N5

**„ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა
მგზავრობის ხელშეწყობის" მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

14 000 (თოთხმეტიათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ძირითადი - ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით, (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწყევთ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. ქედის მუნიციპალიტეტიდან 8 ბენეფიციარი მკურნალობს, პროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯები.	ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების შესახებ მონაცემების მოპოვება												
2	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	14000			14000
	დამატებითი					
	სულ		14000			14000

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	თვეში დღეთა რაოდენობა	ხარჯი თვეში	თვეთა რაოდენობა	ღონისძიებების ხარჯი (ლარი)	სულ ჯამი (ლარი)
1	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ აბუქეთიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	5.6	13	72.8	12	873.6	1747.2
			1	5.6	13	72.8	12	873.6	
2	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ ზვარიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	4.7	13	61.1	12	733.2	1466.4
			1	4.7	13	61.1	12	733.2	
3	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ აქუციდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	4.8	5	24	12	288	576
			1	4.8	5	24	12	288	
4	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ წონიარისიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	5.4	13	70.2	12	842.4	1684.8
			1	5.4	13	70.2	12	842.4	
6	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ ცხმორისიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	6.2	13	80.6	12	967.2	1934.4
			1	6.2	13	80.6	12	967.2	
7	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ დოლოგნიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	2.2	13	28.6	12	343.2	686.4
			1	2.2	13	28.6	12	343.2	
8	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ ხარაულიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	6.6	13	85.8	12	1029.6	2059.2
			1	6.6	13	85.8	12	1029.6	
9	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ გულებიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	4.5	13	58.5	12	702	1404
			1	4.5	13	58.5	12	702	
10	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, სოფელ ზუნდაგიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	1	3.4	13	44.2	12	530.4	1060.8
			1	3.4	13	44.2	12	530.4	
ჯამი								12619.2	12619.2
ნაშთი									1380.8
თანხა									14000

დამატებითი ინფორმაცია

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მონაცემების საფუძველზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს გამგებელს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ყოველთვიური სოციალური დახმარების თაობაზე დიალიზის ცენტრამდე და უკან ტრანსპორტის ხარჯების გაწევის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ყოველთვიურად თვის პირველ რიცხვებში პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარს შესაბამის პირად ანგარიშებზე თანხას.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

1. დიალიზით დაავადებული მოქალაქის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (ფორმა №100);
3. დიალიზით დაავადებული მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი
დანართი N6

1. პროგრამის სახელწოდება:

**„ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის
კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის" მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

9 500 (ცხრაათასხუთასი ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ძირითდი - ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობას. აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამა ითვალისწინებს კურსების დაფინანსებას, ხოლო მუნიციპალიტეტი მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურებას თანმხლები პირის ერთად. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ კურსებზე მიმოსვლა, ამიტომ გამგეობამ გამოიჩინა კეთილი ნება და გადაწყვიტა მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა კურსებზე მიმოსვლისათვის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას.	ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა შესახებ მონაცემების მოპოვება												
2	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	9500			9500
	დამატებითი					
	სულ		9500			9500

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)	თვეში დღეთა რაოდენობა	ხარჯი თვეში	კურსის რაოდენობა
1	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, დანდალოს თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	6	10	60	7
			6	10	60	7
2	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, ცხმორისის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	5.6	10	56	7
			5.6	10	56	7
3	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, წონიარისის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	5	10	50	7
			5	10	50	7
4	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, ზვარის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	4.5	10	45	7
			4.5	10	45	7
5	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, ქედის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	4.2	10	42	7
			4.2	10	42	7
6	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, პირველი მაისის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	3.9	10	39	7
			3.9	10	39	7
7	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, მახუნცეთის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	3	10	30	7
			3	10	30	7
8	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, ოქტომბრის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	4.8	10	48	7
			4.8	10	48	7
9	ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ტრანსპორტირების ხარჯები, მერისის თემიდან ქალაქ ბათუმამდე ორმხრივად თანმხლები პირის ერთად	ბენეფიციარი თენმხლები პირი	5.2	10	52	7
			5.2	10	52	7

დამატებითი ინფორმაცია

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ორ თვეში ერთხელ ათი დღით კურსებზე მიმოსვლის ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება სოფლიდან ქალაქ ბათუმამდე და უკან თანმხლები პირის ერთად. ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება მოხდება რეაბილიტაციის ცენტრიდან კურსების გავლის ცნობის წარმოდგენის შემდეგ სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და ჩაერიცხება ბენეფიციარს შესაბამის პირად ანგარიშზე.

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

1. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა მშობლების განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (ფორმა №100);
3. სარეაბილიტაციო ცენტრების მიერ გაცემული ცნობა კურსების გავლის შესახებ;
3. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა და მშობელთა პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
4. მშობლის საბანკო რეკვიზიტი;

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

დანართი N7

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

**„საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული
სახურავების შეცვლის" მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**1 ივნისი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

47 500 (ორმოცდაშვიდიათასხუთასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 47500 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრირებულია ათეულობით განცხადება, რომლითაც ითხოვენ სიძველის გამო საცხოვრებელი სახლების ამორტიზირებული სახურავების შეცვლით დახმარებას. აღნიშნული მოქალაქეების უმრავლესობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და არ გააჩნიათ საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით მოახდინონ საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება. გამომდინარე აქედან საჭიროა აღნიშნული პროექტის განხორციელება, რათა ეტაპობრივად მოხდეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

პროგრამის ფარგლებში თუნუქის ფურცლებით დახმარება გაეწია 0-დან 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომელთა მდგომარეობას მუნიციპალიტეტში შექმნილი დროებითი კომისია შეისწავლის დეტალურად. თუნუქის ფურცლების გაცემა განხორციელდება კომისიური წესით (მონაკვეთების) გადახურვის მიზნით. თუნუქის ფურცლების გაცემისას უპირატესობა მიენიჭება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს.

პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სახურავით უზრუნველყოფა, სოციალური მდგომარეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

№	პროგრამის მიზანი	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
	ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფა	მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

№	საქმიანობის აღწერა	
1	თუნუქის ფურცლების შეძენა	X
2	თუნუქის ფურცლების ბენეფიციარებზე მიწოდება მთლიანი ან ნაწილობრივი გადახურვისათვის	წლის განმავლობაში

9. პროგრამის ბიუჯეტი

№	ღონისძიების დასახელება	თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	0.45 მმ თუნუქის ფურცლის შეძენა	47500	
სულ ჯამი		47500	

10. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

დაგეგმილია თუნუქის ფურცლების ელექტრონული ტენდერით შესყიდვა.

11. თუნუქის ფურცლების გაცემის წესი:

თუნუქის ფურცლები გაიცემა ინდივიდუალურად კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია:

მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- 1. განხცადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
- 2. გამგებლის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი;
- 3. შესაბამისი კომისიის აქტი ფოტო მასალასთან ერთად;

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი
დანართი N8

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

„სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების" მიზნობრივი პროგრამა

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

**1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.**

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

128 100 (ასოცდარგათასასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 128 100 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისთვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა.

დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მომსახურების მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მედიკამენტების მიწოდება და ანაზღაურება მოხდება ყოველკვარტალურად.

პროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-ისათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენას ანხორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მედდების შერჩევა განხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე გასაუბრების წესით, თანდართული დოკუმენტებით (შესაბამისი განათლების დოკუმენტი, პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტები)

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი				
საქმიანობის აღწერა	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელთან ხელშეკრულებების (კონტრაქტების) გაფორმება	X	X	X	X
მედიკამენტების, წნევის აპარატების და სადიაგნოსტიკო საშუალებების მომწოდებლის შერჩევა	X	X	X	X
სამედიცინო მომსახურება	X	X	X	X

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინიკატორები:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედებით ქედის სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი.

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.	სოფლის მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი	100%	თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები	ყოველთვიურად	ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ყოველი თვის დასასრულს

9. საანგარიშო პერიოდში პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	მედიკამენტების, დამხმარე სამედიცინო მასალების და სხვა სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენა - მიწოდება	I კვარტალი 2017 წელი	ელექტრონული ტენდერი		

10. პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით:

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მედიკამენტები ხელფასი	39	250	109900
მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისთვის	39	294.5	11484.7
დამხმარე სამედიცინო მასალები	39	65.59	2558.0
გლუკომეტრი	39	30.00	1170.0
გლუკომეტრის ტესტ - ჩხირები	78	26.22	2045
პროგრამის ბიუჯეტი			127157.9
ნაშთი			942.14
სულ ჯამი			128100.0

№	მედიკამენტების დასახელება		შეფუთვის ფორმა	მედიკამენტების რაოდენობა (ტაბ. ამპ. ფლ.)	ერთეულის (ტაბ. ამპ. ფლ.) ღირებულება ლარებში	ჯამი
1	ანალგინი 50% 2მლ. №10	Metamizol sodium	ამპულა	936	0.165	154.44
2	ანალგინი 0,5გ. №10	Metamizol sodium	ტაბლეტი	9360	0.028	262.08
3	კეტოროლაკი 30მგ./1მლ. №10	Ketorolac	ამპულა	1404	0.4	561.6
4	სპაზმალგონი 5მლ. №10	Pitofenone hydrochloride	ამპულა	1404	0.6	842.4
5	სუპრასტინი 25 მგ. №20	Chloropyramine	ტაბლეტი	9360	0.26	2433.6
6	დექსამეტაზონი 4მგ. 1მლ. №5	Dexamethasone	ამპულა	936	0.35	327.6
7	კოფეინი 20% 1მლ. №10	Coffeine - sodium benzoate	ამპულა	1404	0.1	140.4
8	ნიფედიპინი 10მგ. №40	Nifedipine	ტაბლეტი	9360	0.033	308.88
9	იმოდიუმბი 2მგ. №6	Loperamide hydrochloride	ტაბლეტი	1872	0.38	711.36
10	ცერუკალი 10მგ. №50	Metoclopramide	ტაბლეტი	2340	0.076	177.84
11	ტემპალგინი 0,5გ. №20	TEMPALGIN - Metamizol sodium	ტაბლეტი	4680	0.12	561.6
12	ციტრამონი №6	Coffeine+ Acetylsalilic acid+ Paracetamol	ტაბლეტი	8424	0.03	252.72
13	ვალიდოლი №10	Validolum (sol.menthol in acidi isovalerianae)	ტაბლეტი	4680	0.04	187.2
14	კაპტოპრილი 25მგ. №50	Captopril	ტაბლეტი	9360	0.03	280.8
15	ნო-შპა 40მგ/2მლ. №25	Drotaverine hydrochloride	ამპულა	1404	0.6	842.4
16	ნო-შპა 40მგ. №100	Drotaverine hydrochloride	ტაბლეტი	9360	0.09	842.4
17	პარაცეტამოლი 0,5გ. №10	Paracetamol	ტაბლეტი	9360	0.027	252.72
18	კორვალოლი 25მლ.	Oleum mentha piperitae+ phenob. + ethylbromisovalerianate	ფლაკონი	936	0.9	842.4
19	ვალერიანის წაყენი 25მლ.	Tinctura Valerianae	ფლაკონი	936	0.48	449.28
20	ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ.	Solutio viridis nitentis spiritiosa 1%	ფლაკონი	468	0.25	117
21	იოდის 5% სპირტიანი ხსნარი 10მლ.	solutio Iodi spiritiosa 5%	ფლაკონი	468	0.35	163.8
22	ეთანოლი სამედიცინო 95% 100მლ.	Aethanolum Medicinalis 95%	ფლაკონი	468	0.8	374.4
23	ფურაცილინის 0.02% ხსნარი 100მლ.	Solutio Furacilini 0,02%	ფლაკონი	468	0.4	187.2
24	წყალბადის ზეჯანგი 3% ხსნარი 100მლ.	Solutio Hydrogenii peroxydi diluta 3%	ფლაკონი	468	0.45	210.6
						11484.7

№	დამზარე სამედიცინო მასალების დასახელება	შეფუთვის ფორმა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	ბამბა 50გრ.	ცალი	936	0.45	421.2
2	სტერილური საფენები	პაკეტი	936	0.5	468
3	ბინტი არასტერილური 7*14	ცალი	936	0.53	496.08
4	ბინტი სტერილური 7*14	ცალი	468	0.56	262.08
5	შპრიცი 2მლ.	ცალი	936	0.1	93.6
6	შპრიცი 5მლ.	ცალი	936	0.11	102.96
7	ლეიკოპლასტირი 2*500	ცალი	468	0.9	421.2
8	ნილაბი სამედიცინო	ცალი	468	0.1	46.8
9	ხელთათმანი არასტერილური	წყვილი	936	0.18	168.48
10	შპადელი ხის სტერილური	ცალი	15.6	4.97	77.532
					2557.932

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და აღწერილობა	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	გლუკომეტრი	Accu - CHEK Active	39	30	1170

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და აღწერილობა	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	შეფუთვის ფორმა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	გლუკომეტრის ტესტ - ჩხირები	Accu - CHEK Active	კოლოფი (50 ტესტ - ჩხირი)	78	26.2087	2044.28

მედიკამენტების და დამზარე სამედიცინო მასალების გაცემა მოხდება კვარტალში ერთხელ

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

დანართი N9

**„ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური
მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ მიზნობრივი პროგრამა**

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

20 200 (ოციათასორასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 20 200 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ეპილეფსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილეფსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ასევე უფროსებში რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტიეპილეფსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით.

ამ ასპექტის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი მე-4 წელია ანხორციელებს ეპილეფსიით დაავადებულთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამას.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2	ეპილეფსიით დაავადებულთა გართულებების თვიდან აცილება	ეპილეფსიით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი
3	ეპილეფსიით დაავადებულთა შრომის უუნარობის შემცირება	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	შემოსული განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. 2014 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	20200			20200
	დამატებითი					
	სულ		20200			20200

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	ეპილეფსიით დაავადებულთა 100%-ით სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	80		20200
სულ ჯამი					20200

ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით 100% უზრუნველყოფა

№	მედიკამენტების დასახელება	ბენეფიციარის რაოდენობა	მედიკამენტების რაოდენობა (ტაბ., ფლ.)	ერთი (ტაბ., ფლ.) ღირებულება ლარებში	სულ ჯამი ლარებში
1	დეპაკინი ქრონო 500 მგ. (ვალპროატის მჟავა 500 მგ.)	27	21875	0.215	4703.125
2	დეპაკინი ქრონო 300 მგ. (ვალპროატის მჟავა 300 მგ.)	2	1860	0.205	381.3
3	დეპაკინი ენტერიკი 300 მგ. (ვალპროატ ნატრიუმი 300 მგ.)	2	2232	0.37	825.84
4	დეპაკინი სიროფი 150 მგ. (ნატრიუმის ვალპროატი)	4	110	12.0924	1330.164
5	ეპიქსი 500 მგ. (ლევეტირაცეტამი 500 მგ.)	10	9375	0.575	5390.625
6	ფინლეფსინი 200 მგ. (კარბამაზეპინი 200 მგ.)	35	47770	0.11	5254.7
7	კარბამაზეპინი 200 მგ.	24	30190	0.075	2264.25
ჯამი					20150.004
ნაშთი					49.996
სულ ჯამი					20200

11. საანგარიშო პერიოდში პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ეპილეფსიით დაავადებულთა მედიკამენტებით 100% უზრუნველყოფა	2017 წლის დეკემბერი	ელექტრონული ტენდერი	20200 ლარი	

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

- 1. განხცადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
- 2. ბავშვის დაბადების მოწმობის და მშობლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
- 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა № IV-100/ა;

მედიკამენტების შესყიდვის მოცულობა ყველა შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურად ფორმა № IV-100/ა -ში მითითებული მედიკამენტის მიხედვით

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალიუს ფარგლებში;

შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოსა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით;

მედიკამენტების გაცემას უზრუნველყოფს სააფთიაქო დაწესებულება უწყისის შესაბამისად;

„მიმწოდებლის" დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით

2017 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი
დანართი N10

„ამბულატორიული მომსახურების პროგრამა“

1 იანვარი 2017წ.
31 დეკემბერი 2017წ.

102 600 (ასორიათასეჭვსასი) ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 102 600 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

მუნიციპალიტეტის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტითა და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფა.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესება	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

[illegible]

9. პროგრამის (ქვეპროგრამის) მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. ბენეფიციარების მონახულება და შეტყობინება.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით						
№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	102600			102600
	დამატებითი					
	სულ		102600			102600

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

გ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში მერისის, დანდალოს, ცხმორისის წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, მახუნცეთის, ოქტომბრის და პირველი მაისისამბულატორიების მომსახურება.

№	ღონისძიებების ხელფასი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თვე	თანხა
1	მძღოლის ხელფასი	9	300	12	32400
2	საწვავი 9 ავტომობილზე (ლიტრი)	1350	1.92	12	31104
3	ავტომანქანების მიმდინარე რემონტი	5250	1	1	5250
4	ავტომანქანების დაზღვევა	9	565	1	5085
5	ელექტროენერგიის გადასახადი	9	9	12	972
6	გათბობის ხარჯი	9	515	1	4635
7	მედიკამენტები	11	30	12	3960
8	პროგრამის მართვის ხარჯი	17714	1	1	17714
9	საბურავების შეძენა	8	185	0	1480
ჯამი					102600

11. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	დანდალოს, ცხმორისის, წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, პ/მაისის, მახუნცეთის, ოქტომბრის, მერისის ამბულატორიების მომსახურება.	კვარტალი			

დამატებითი ინფორმაცია:

ნივის ტიპის ავტომობილებზე საწვავი ერთ თვეში გაცემული იქნას არაუმეტეს 150 ლიტრისა, ხოლო უაზის ტიპის ავტომობილზე არაუმეტეს 220 ლიტრისა.

მიზნობრივი პროგრამა:

1. პროგრამის სახელწოდება:

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

2017წ. 3 აგვისტოდან 2017წ. 30 ნოემბრამდე (4 თვე)

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 25400 ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 25400 ლარი (ერთი მობილური გუნდის თვის ლიმიტი შეადგენს 6450 ლარს)

ბ) დამატებითი 0 ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტი

6. პროგრამის აღწერილობა

აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამბულატორიულ აღრიცხვაზე ქედის მუნიციპალიტეტიდან აღრიცხვაზეა 585-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 50-60 პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე, შეუძლებელია, სწორედ, ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში, მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც

ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს, გარდა ამისა ამ მომსახურებით იზრდება ტერიტორიული ხელმისაწვდომობა და ამავე დროს ცალსახად შეუმსუბუქებდება ხარჯები ამბულატორიულ დისპანსერულ მეთვალყურეობას.

2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ფსიქიკური ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული, რაც მოიცავს: დაბალანსებულ ზრუნვას, მომსახურების ინტეგრაციას, უწყვეტობასა და თანმიმდევრულობას. თანამედროვე ფსიქიატრიული მომსახურება ეს არის დაბალანსებული მომსახურება თემზე და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე დაფუძნებულ ზრუნვას შორის.

გარდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა ეს პროექტი შეძლებს შეუმსუბუქოს პაციენტს და მათ ოჯახებს სოციალური მდგომარეობა, როგორც ფინანსური დანახარჯების ასევე დროის ეკონომიითაც, ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი რაიონიდან ამბულატორიაში ვიზიტისთვის(განსაკუთრებით ის კატეგორია პაციენტების ვინც შეირჩევა მდგ-ს მიერ) საჭიროებს თანმხლებ პირს, რაც ოჯახისთვის ორმაგი დანახარჯია,გარდა ამისა ოჯახი რომელიც უმეტესწილად სოფლად და რაიონში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული კარგავს დროს , რადგან ასეთი მარშრუტის გამო მთელი დღე და ხშირად ორიც ჭირდება თუ „დაავიანდა“ სოფლის ტრანსპორტის გასვლის საათებში. სოფლად ასეთი „მოუცლელობის“ გამო ხშირად პაციენტი თვეების განმავლობაში ვერ აკითხავს ამბულატორიას, შედეგად კი ეს შემდგომში პაციენტის გამწვავებით და სტაციონირებით სრულდება , რაც სახელმწიფოს როგორც ავღნიშნეთ გაცილებით ძვირი უჯდება.ამიტომ მობილური გუნდის სერვისი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მომსახურების პროგრამა, პარალელურად მას სოციალური პროგრამის დატვირთვაც ეძლევა.

7.პროგრამის მიზნები და ამოცანები:

პროგრამის მიზანია:

- 1- თემზე დაფუძნებული ერთი მობილური გუნდის მომსახურება ქედის მუნიციპალიტეტში, თვეში არანაკლებ 50 მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირზე;
- 2-შეამციროს **რეციდივის** (ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის გამწვავების) სიხშირე;
- 3-შეამციროს ძალადობრივი ქცევის (საკუთარი თავის მიმართ ან ირგვლივმყოფების მიმართ) რისკი;
- 4-შეამციროს სტაციონირირების სიხშირე.

5-ხელი შეუწყოს ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის პერიოდის შენარჩუნებას;
6-ოჯახისა და პაციენტის ფსიქოგანათლებლითა და მათთან თერაპიული ურთიერთობის დამყარებით ხელი შეუწყოს პაციენტის ინსაიტის გაზრდას, რაც პაციენტის მობილური გუნდიდან ამბულატორიულ სერვისში გადასვლას უზრუნველყოფს.

7-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფას.

პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

1. მდგს მიერ მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებისთვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური შინ მომსახურების უზრუნველყოფა;
2. პაციენტი იყოს დამოუკიდებელი, ერკვეოდეს თავისი დაავადების დეტალებში და თავად გრძნობდეს ამბულატორიული მეთვალყურეობის საჭიროებას;

8-განხორციელების გზები:

პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი აქტივობებია:

1. კლინიკის პერსონალის (ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) შემადგენლობით სათემო გუნდების დაკომპლექტება.
2. სათემო გუნდები, პაციენტთა სიების დაკომპლექტების შემდეგ მოემსახურებიან ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ არანაკლებ 50 ბენეფიციარს თვეში. სოფლის პირველადი ჯანდაცვის რგოლებთან უშუალო კონტაქტით წინასწარ დაგეგმილი გრაფიკით მოხდება თვეში რამოდენიმეჯერ ადგილზე, რაიონებში გასვლა ამბულატორიულ უბნებში. მდგ მოემსახურება კლინიკის ამბულატორიაში აღრიცხვაზე მყოფ ქრონიკული ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, ხოლო პირველად შემთხვევებზე გასცემენ რეკომენდაციას ამბულატორიაში ვიზიტისთვის

9. შეფასების ინდიკატორები:

1. სათემო გუნდების მიერ ამბულატორიულ განყოფილებაში აღრიცხვაზე მყოფი მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებისთვის შინ მომსახურების უზრუნველყოფა და მკურნალობაში ჩართული პაციენტების დაახლოებით 5-7%-ით ზრდა
2. სტაციონირებისა და რეჰოსპიტალიზაციის რიცხვი შემცირება
3. სერვისში ჩართული პირების გამოსავალის (outcome) მაჩვენებელი, რაც მოიცავს ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების სიმწვავის, სოციალური ფუნქციონირების ხარისხისა და პაციენტისა და მისი ოჯახის კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრას.

4. ტრადიციულ ამბულატორიულ განყოფილებაში დაინერგება მულტიდისციპლინური მუშაობის სტილი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფსიქიატრიის განვითარების კონცეფცია და საქართველოს მთავრობის მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესახებ დადგენილება(2014 წ. 31 დეკემბერი N-762)

10.პროგრამის ღირებულება და გათვალისწინებული მომსახურება

თემზე დაფუძნებული ერთი მობილური გუნდის მომსახურება ქედის მუნიციპალიტეტში, თვეში არანაკლებ 50 მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისთვის, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს ერთი მულტიდისციპლინური მობილური გუნდი, ერთი მობილური გუნდისთვის ბიუჯეტი განისაზღვრება 6450 ლარით და სრულად მოიცავს:

10.1) მდგომარეობის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას;

10.2) შინ მომსახურებას, რეგულარულ ვიზიტებს პაციენტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით,

12/7 სატელეფონო კონსულტაციას;

10.3) მობილური გუნდის ექიმი ფსიქიატრის დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას (კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები))შესაბამისად;

10.4) პაციენტის სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად სოციალური პრობლემების მოგვარებაში დახმარებას;

10.5) პაციენტის და პაციენტის ოჯახის წევრების ელემენტარულ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და ფსიქოგანათლებას ;

10.6 ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების ორგანიზებას;

10.7) 10 საათის მანძილზე სერვისის ხელმისაწვდომობას.

11.დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

ა-მე-10 პუნქტის ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით. ერთი მობილური გუნდისთვის ლიმიტი შეადგენს 6450 ლარს

ბ-პროგრამის მიმწოდებელი (კლინიკა) წინასწარ დადგენილი ფორმით აწოდებს განმახორციელებელს(ქედის გამგეობა) შესრულებული სამუშაოს მოცულობას ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

გ-განმახორციელებელი ანაზღაურებს მიმწოდებლის მიერ გადაცემულ შესრულებულ სამუშაოს იმავე თვის ბოლომდე.